<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

მაისი 2023 წელი

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ანზორ ერქომაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ფოლკლორისტის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. ჩუღურეთის რაიონში, ანზორ ერქომაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს ფოლკლორისტის ანზორ ერქომაიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით .

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

ალექსანდრე ყაზბეგის ქ.
ალექსანდრე ყაზბეგის ქ.
ალექსანდრე ყაზბეგის ქ.
ალექსანდრე ყაზბეგის ქ.
483459.10300, 4617151.37606 მეტრული
მასშტაბი= 1 : 1.3K